სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"

19/09/2024

MES 5 24 001-04/157

ბრძანება №01-04/157

სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში'' არაფორმალური განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2024 წლის 29 იანვრის N01-04/13 ბრძანების, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის 19 სექტემბრის №1162435 სამსახურეობრივი ბარათის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 06 სექტემბრის N188/ნ ბრძანების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის N837/ი (ცვლილება: 2020 წლის 03 აპრილის N327137 ბრძანება) ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სქტემბრის N459 დადგენილების, კოლეჯის წესდების და ამავე წესდების მე-5 მუხლის „ი" პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში" დანართის სესაბამისად დამტკიცდეს „**არაფორმალური განათლების აღიარების წესი**". დანართი წარმოადგენს ამ ბრძანების განუყოფელ ნაწილს;
2. ბრძანებაზე კონტროლი და შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება დაევალოთ კოლეჯის დირექტორის მოადგილე ბატონ კახა ბოლქვაძეს, ხარისხის მართვის მენეჯერ ქალბატონ ნათია ევგენიძეს, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯერ ბატონ ჭაბუკი ვერულიძეს, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის კოორდინატორ ქალბატონ ნელი ღუდუშაურს;
3. საჯაროობის მიზნით აღნიშნული ბრძანების და მისი დანართის განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე დაევალოს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ქსელის ადმინისტრატორ ბატონ დენის ლადიგინს;
4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30;

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო/
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"/ დირექტორის
მოადგილე
ბოლქვაძე კახა